შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№36 (9.552)

28 სექტემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

1 ოქტომბერს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის არჩევნებია

საქართველოს პარლამენტის 77 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 73 წევრი - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება განისაზღვრება 4 წლის ვადით.

ძვირფასო ამომრჩევლებო, არჩევნების დღეს უნდა გააკეთოთ არჩევანი და აირჩიოთ პარლამენტის წევრები როგორც პროპორციული წესით, ისე მაჟორიტარული სისტემით. ამისთვის თითოეული თქვენგანი მიიღებს ორ ბიულეტენს.

პროპორციული საარჩევნო ბიულეტენი ეწოდება ბიულეტენს, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაცემები. ამომრჩეველს უფლება აქვს, ხმა მისცეს მხოლოდ ერთ პარტიას. თუ ამომრჩეველი ხმას მისცემს ერთზე მეტ პარტიას, ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება.

მაჟორიტარული ბიულეტენი, რომელშიც შეტანილია მაჟორიტარული სისტემით ასარჩევი დეპუტატობის კანდიდატების მონაცემები. ბიულეტენის შევსებისას ამომრჩეველმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ერთი ხმა აქვს და ხმაც მხოლოდ ერთ კანდიდატს უნდა მისცეს.

ძვირფასო ამომრჩევლებო, მიდით არჩევნებზე და დააფიქსირეთ თქვენი არჩევანი! ეს თქვენი უფლებაცაა და მოქალაქეობრივი ვალიც!

პოლიტიკური არჩევანი – -ქალები თუ კაცები?

საქართველოში მეთორმეტე საუკუნისდროინდელი პრეცედენტის - მეფე-ქალის არსებობის მიუხედავად, დღეს ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკაში მოსასვლელად ქალებს კვლავ დიდი ძალისხმევა ჭირდებათ. საუკუნეების წინ დიდი შოთა რუსთაველის აფორიზმის „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ ჭეშმარიტების აღიარების მიუხედავად, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საკითხებში მანდილოსნებისადმი ნდობა მაინც დაბალია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში ქალ-პოლიტიკოსებს უფრო სამშვენისის ფუნქცია აქვთ, ვიდრე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღების.

მსოფლიოში ქალების პოლიტიკური აღზევება გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს, ბევრ ევროპულ ქვეყანას, მათ შორის გერმანიას- ქალი მმართველი ჰყავს. ევროპული ღირებულებებისადმი სწრაფვის მიუხედავად, თამარ მეფის ქვეყანაში ქალების პირველობას კაცები მაინც ვერ ეგუებიან.

1 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება. დედოფლისწყაროში რეგისტრირებული პარტიებიც აქტიურ მზადებაში არიან. მათ უკვე წარადგინეს თავიანთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. ჩვენს მუნიციპალიტეტში გენდერული ბალანსი ამ მხრივ დაცული ნამდვილად არ გახლავთ- ექვსი კანდიდატიდან მხოლოდ ორმა პარტიამ შეაჩერა არჩევანი ქალ-კანდიდატებზე: ლია ჩოქური „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ეგიდით მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ხოლო თამილა გურაშვილი - პარტია „თავისუფალი საქართველოს“ რჩეულია. რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, მათი სია ასე გამოიყურება:

ზაზა კედელაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

ალექსანდრე თამაზაშვილი- „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“;

ბიჭიკო მაჩაბლიშვილი - „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“;

გიორგი ყოჩიაშვილი - „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.

ამ შემთხვევაშიც თვითონ პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევანი მამაკაც კანდიდატებზე გააკეთეს. ეს რაც შეეხება პოლიტიკური ორგანიზაციების არჩევანს, გაზეთი „შირაქი“ შეეცადა გაეგო, როგორია დედოფლისწყაროელი ელექტორატის აზრი, საით იხრება მათი პოლიტიკური ვექტორი, ანუ როგორია ხალხის პოლიტიკური არჩევანი-ქალები თუ კაცები?

დარეჯანი - 60 წლის: მე მგონია, რომ საქართველოს პარლამენტში მამაკაცი უფრო მეტ საქმეს გააკეთებს, ამიტომ არჩევნებშიც სწორედ მამაკაც კანდიდატს მივცემ ხმას.

თამარი - 35 წლის: ჩემი აზრით, ნაკლებად მნიშვნელოვანია ადამიანების ასე, სქესის მიხედვით დაყოფა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ქალი პოლიტიკოსების არჩევანი ნაკლებია. ამიტომ მამაკაცი პოლიტიკოსები უფრო ძლიერები არიან.

ქეთი - 20 წლის: ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი კანდიდატებიდან არჩევანს მამაკაც პოლიტიკოსზე გავაკეთებ. ალბათ იმიტომ, რომ ჩემს რჩეულს მეტად ვენდობი და მგონია, რომ ის დედოფლისწყაროს მართლაც ბევრს გაუკეთებს.

ვახტანგი - 50 წლის: რა თქმა უნდა, ხმას მამაკაც კანდიდატს მივცემ. საქართველოს პარლამენტში ქალი ვერ მიიღებს ისეთ თამამ გადაწყვეტილებას, როგორსაც კაცი.

ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე რესპოდენტის მოსაზრება შემოგთავაზეთ, თუმცა სხვების აზრიც მათი იდენტურია. როგორც ჩანს, საზოგადოების დამოკიდებულება ქალების პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე კვლავ სკეპტიკურია. მამაკაცების უმრავლესობას კაბიანების მიმართ უნდობლობა აქვთ და არ სურთ, ისინი სერიოზულ კონკურენტებად აღიქვან, ხოლო ქალბატონები თავისივე სქესის მიმართ ნაკლებ სოლიდარულნი არიან. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს ჩვენი რეალობაა და პასუხიც წერილში დასმულ კითხვაზე ერთგვაროვნად ჟღერს: პოლიტიკური არჩევანი- ქალები თუ კაცები?

რა თქმა უნდა-კაცები!

ინგა შიოლაშვილი

ინფრასტრუქტურული პროექტები დედოფლისწყაროში

გვ. 4-5

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეა

გვ. 2

ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 1 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

მიხეილ სააკაშვილი: „ძალიან მაგ არ რაღაცეებს ვიწუებთ დედოფლისწყაროში“

„ჩვენ კარგად გვახსოვს კახეთში რა იყო მხედრიონი, კარგად გვახსოვს როგორ აუთოვებდნენ ხალხს, როგორ შედიოდნენ ოჯახში, როგორ ართმევდნენ უკანასკნელ საბადებელს. ...ქალაქის ცენტრში ხვრეტდნენ ახალგაზრდებს, წამალზე დასვა მთელი თაობა და ეხლა როცა წამალი აღარ არის, როცა ქუჩაში აღარ კლავენ, როცა პოლიციაში აღარ აწამებენ, ეხლა უნდათ ამათ დაბრუნდნენ უკან? მათ ილეთი უკან შეუბრუნდებათ და ჩვენ სუფთაზე დავდებთ, ბეჭებზე“, - განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გურჯაანში სტუმრობისას.

ქალაქ გურჯაანის ცენტრში სააკაშვილი კახეთის ყველა რაიონიდან მობილიზებულ მხარდამჭერებს შეხვდა. პრეზიდენტი გურჯაანში 24 სექტემბერს იმყოფებოდა. პრეზიდენტის დასახვედრად მზადება დილიდან დაიწყო, ნონეშვილის, რუსთაველის და გურამიშვილის ქუჩები გადაკეტილი იყო, დახურული იყო მაღაზიები, შენობებში არ უშვებდნენ თანამშრომლებს.

პრეზიდენტის გამოსვლას კახეთის რეგიონში წარდგენილი მმართველი გუნდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებიც ესწრებოდნენ, მათ შორის დედოფლისწყაროს კანდიდატი - ზაზა კედელაშვილიც. ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები გურჯაანში დედოფლისწყაროდანაც გაემგზავრნენ.

„ჩვენ ვერცერთი მტერი ვერ ჩაგვაყენებს ჩოქბჯენში, როგორც მას წარმოუდგენია და ჩვენ ყოველთვის წინ წავალთ. მე ყველაზე კარგად ვიცი, რომ ჯერ დიდი გაჭირვებაა, რომ წარმოუდგენლად ყველაზე მეტად დასაშვები უმუშევრობაა ვიდრე შეიძლება იყოს საქართველოში. ვიცხოვრებთ უკეთესად და მაგრად ვიცხოვრებთ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ჩვენ ვაშენებთ ახალ ქალაქებს, პრაქტიკულად ახლიდან შენდება თელავი, სიღნაღი, ყვარელი. ძალიან მაგრად ვაკეთებთ გურჯაანს და გავაკეთებთ. ახტალა დავიწყეთ ამ დღეებში და იქნება ყველაზე მაგარი კურორტი საქართველოში. ძალიან მაგარ რაღაცეებს ვიწყებთ დედოფლისწყაროში. ძალიან მაგრად გაკეთდება იმიტომ, რომ კახეთი არ შეიძლება არ იყოს ძალიან მაგარი ადგილი ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე. ჩვენმა მტერმა ყოველთვის იცოდა, თუ გინდა საქართველო გატეხო, უნდა დაარტყა კახეთს, ეს იცოდა შაჰ-აბასმა და როგორც ჩანს, ვიღაცამ ამის შესახებ უთხრა პუტინსაც, როცა მან შემოიღო ღვინის ემბარგო“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა პოლიტიკურ პარტიებს ერთად დგომისკენ და კრიმინალთან და დანაშაულთან საერთო ძალებით ბრძოლისკენ მოუწოდა. მისივე თქმით, აღარ დაბრუნდებიან კანონიერი ქურდები.

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის 19 წლისთავი აღინიშნა

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის 19 წლისთავი აღინიშნა. სოხუმის დაცემით ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა დასრულდა, რომელიც 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა.

ქართულ შენაერთებს, აფხაზებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებული მებრძოლები, კაზაკთა მილიციის შენაერთები და არაოფიციალურად გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის შენაერთი ებრძოდნენ. სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას 27 ივლისს სოჭში ცეცხლის შეწყვეტისა და და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ დადებული შეთანხმება უძღოდა, თუმცა აფხაზურმა მხარემ ის 16 სექტემბრს დაირღვა. ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და სოხუმზე ფართომასშტაბიანი იერიში ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან მიიტანეს. საქართველოს კი, შეთანხმების თანახმად, ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი უკვე კონფლიქტის ზონიდან გაყვანილი ჰყავდა.

გააფრთებული ბრძოლები 27 სექტემბრამდე გრძელდებოდა, თუმცა მასიურ შეტევას ქართულმა ნაწილებმა სუსტი შეიარაღებით ვერ გაუძლეს და ქალაქი საბოლოოდ დაეცა. სოხუმის აღების შემდეგ ქალაქში შესულმა სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა, სოხუმის მერი გურამ გაბისკირია და ასევე ადგილობრივი მთავრობის წევრი რაულ ეშბა, რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს. რამდენიმე დღეში სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს (კოდორის ხეობის გარდა). იგი ქართველთა სასაკლაოდ იქცა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სრულ დამარცხებას რეგიონში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოჰყვა. გადარჩენილი 250 000-ზე მეტი ეთნიკურად ქართველი, ბერძენი თუ სხვა უმცირესობების წარმომადგენელი აფხაზეთიდან დევნილი გახდა.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებითხელისუფლების წარმომადგენლები, გმირულად დაღუპულთა ოჯახების წევრები, აფხაზეთიდან დევნილები და რიგითი მოქალაქეები, ტრადიციულად, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალთან შეიკრიბნენ და ის ყვავილების გვირგვინით შეამკეს.

საარჩევნო კომისიების წევრებმა ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერეს

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერეს.

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა აღნიშნა, დოკუმენტს ხელი ერთდროულად ქვეყნის მასშტაბით ყველა დონის ადმინისტრაციაში მოეწერა.

ცესკო-ს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი ქცევის რამდენიმე ნორმას აერთიანებს. ეს არის კანონის პატივისცემა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალეობა და პროფესიონალიზმი.

„აღნიშნული კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიაში წევრები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი და თანამიმდევრული განხორციელება, ფუნქციების შესრულებისას იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები. უზრუნველყონ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა. საარჩევნო პერიოდში თავი აარიდონ ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირებთან პირადი ხასიათის შეხვედრებსა და ვიზიტებს. ეთიკის კოდექსი არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებისა და ამომრჩეველთა მხრიდან ნდობის ამაღლების მიზნით შემუშავდა“, – განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

პატიმართა წამებასა და გაუპატიურებაში მხილებული კიდევ 4 პირი დააკავეს

სამართალდამცველებმა პატიმართა წამებასა და გაუპატიურებაში მხილებული კიდევ 4 პირი დააკავეს.

ამის შესახებ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა შოთა ტყეშელაშვილმა განაცხადა.

„სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მიმართ მიმდინრე გამოძიების ფარგლებში, დღეს გამთენიისას დაკავებული არიან პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში, წამებასა და გაუპატიურებაში მხილებული 4 პირი. ესენი არიან, ქუთაისის მე-16 საპყრობილის დირექტორი ზურაბ რუხაია, ამავე საპყრობილის რეჟიმის უფროსი დავით ნარსია და ამავე საპყრობილეში მორიგე ინსპექტორები - ნიკოლოზ ვახტანგიშვილი და გიორგი გრძელიძე. აღნიშნული პირები დანაშაულს ქუთაისის მე-16 საპყრობილის ტერიტორიაზე ჩადიოდნენ“, - განაცხადა ტყეშელაშვილმა და დასძინა, რომ ამ დროისთვის სულ 16 პირია დაკავებული.

მისივე თქმით, გამოძიება გრძელდება.

სიღნაღთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის 10 მილიონიანი პროექტი იწყება

სიღნაღი-დედოფლისწყაროს დამაკავშირებელი ცენტრალური გზის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი იწყება. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, პროექტი 17 თვეს გასტანს და მასზე 10 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში გაზეთ „შირაქს“ გრანდიოზული პროექტის დაწყება დაუდასტურეს, და აღნიშნეს, რომ სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის გამოსავლენად ტენდერი უახლოეს დღეებში უნდა გამოცხადდეს.

დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარის, ლევან ბაღაშვილის განმარტებით, პროექტი ე.წ. დაცული ტყიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებამდე ცენტრალური გზის მოასფალტებას ითვალისწინებს.

ბაღაშვილი მიიჩნევს, რომ გზის ასფალტსაფარის განახლება დედოფლისწყაროში ტურისტების ნაკადის ზრდას ხელს ბევრად შეუწყობს და უკეთესი გზის არსებობის შემთხვევაში დედოფლისწყაროში სიღნაღიდან ის ტურისტებიც ჩამოვლენ, რომლებიც მხოლოდ სიღნაღის მონახულებას გეგმავდნენ.

გზის არარსებობის გამო ტურისტები სიღნაღიდან დედოფლისწყაროში ჩამოსვლას თავს არიდებდნენ. მათი დიდი ნაწილი სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმის მონახულებისგან თავს იკავებს და მიზეზად სწორედ მოუწესრიგებელ გზას ასახელებს.

ამ პრობლემის პრიორიტეტულობაზე მერამდენე წელია საუბრობდნენ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე დედოფლისწყაროს მაცხოვრებლები... თუმცა, იმის გამო, რომ პრობლემის გადაჭრა ძალზე სოლიდურ თანხებს უკავშირდებოდა, გზის რეაბილიტაცია ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

დედოფლისწყაროელები აღნიშნავენ, რომ სიღნაღთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას მოსახლეობა იმედის თვალით უყურებს, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე დადებითად უნდა აისახოს.

ილია მარტყოფლიშვილი

ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ ხმების პარალელურ დათვლას მოახდენს

1 ოქტომბერს „სამართლიანი არჩევნები” არჩევნების ფართომასშტაბიან მონიტორინგს საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში განახორციელებს.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” ხმების პარალელური დათვლის მეთოდოლოგიის შესახებ დეტალური ინფორმაციის პრეზენტაციას გამართავს.

მონიტორინგის ფარგლებში ორგანიზაცია მოახდენს ხმების პარალელურ დათვლას (PVT), რომელიც არაერთხელ გამოცდილ და სტატისტიკურად გამართულ მეთოდოლოგიას ეფუძნება.

ცნობისთვის, „სამართლიანი არჩევნების” სადამკვირვებლო მისია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ევროპის კავშირისა (EU) და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს”, ასევე, „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის” (NED) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში” (EWMI G-PAC) მიერაა დაფინანსებული.

გიგა ბოკერია სამართალდამცავებს დასჯის მსუბუქი ზომების გამოყენების რეკომენდაციას აძლევს

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე გიგა ბოკერია სამართალდამცავ ორგანოებს დასჯის მსუბუქი ზომების გამოყენების რეკომენდაციას აძლევს. ბოკერიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ერთმანეთის მისამართით გზავნილები საკმაოდ მკაცრი და აგრესიულია, ასევე ცალკეული ინციდენტების მიუხედავად, ეს ძალიან მშვიდობიანი კამპანიაა.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი დემოკრატიისთვის. ბოლო დღეების განმავლობაში შეინიშნება ძალადობრივი ინციდენტების ზრდის შემაშფოთებელი ტენდენცია. ჩვენი მონაცემებით, დაახლოებით 30 ადამიანი ადმინისტრაციული წესით არის დაკავებული. არიან დაჯარიმებულებიც. მინდა მოვუწოდო სამართალდამცავებს, მნიშვნელოვანია ამ ძალადობის გავრცელება არ მოხდეს, მაგრამ სადაც შესაძლებელია გამოყენებული იყოს დასჯის მსუბუქი ფორმები, მაგალითად ჯარიმა“, - განაცხადა ბოკერიამ და აღნიშნა, რომ ეს არის უწყებათაშორისი კომისიის მკაფიო რეკომენდაცია სამართალდამცავებისადმი.

მეორეს მხრივ, გიგა ბოკერია პოლიტიკურ ლიდერებს მოუწოდებს, მკაფიო გზავნილი მისცენ თავის აქტივისტებსა და მომხრეებს. „პოლიტიკური მრწამსისა და ოპონენტების მიმართ ნეგატიური შეხედულებების მიუხედავად, კატეგორიულად დაუშვებელია ძალადობა და მისი წახალისება. მშვიდობის შენარჩუნებასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ორგანიზებაში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, მაგრამ ძირითად პოლიტიკურ პარტიებსაც აქვთ საკუთარი წილი სერიოზული პასუხისმგებლობა - რა ტიპის გადაწყვეტილებების წახალისებას მოახდენენ მომხრეებში. ჩემთვის მიუღებელია, როდესაც საუბარია ერთის მხრივ, სიმშვიდეზე და იქვე აღინიშნება, რომ შეიძლება მათთვის მიუღებელი ხალხი ლინჩის წესით იყოს გასამართლებული და მათი დაცვა ვერ მოხერხდეს. მიუღებელია საუბარი იმაზეც, რომ პარტიების მომხრეები პასუხს აგებენ სამართლებრივად ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერისთვის“, - აღნიშნა ბოკერიამ.

მისივე თქმით, მომხრეების მისამართით ამგვარმა მოწოდებებმა შესაძლოა ვითარება გაართულოს. „სიტუაციის დრამატიზაცია არ მინდა და ჯამში საარჩევნო გარემოც მშვიდობიანია, მაგრამ მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე სწრაფად მოხდეს რეაგირება ხელისუფლების და ყველა პარტიის მხრიდან“, - აღნიშნა ბოკერიამ.

პატრიარქის ინიციატივით საპყრობილეებში ციხის მოძღვარი დაინიშნება

სასჯელაღსრულების სამინისტრო ციხეებში კაპელანის დანიშვნასთან დაკავშირებით საკითხს სწავლობს და გადაწყვეტლებას უახლოეს მომავალში მიიღებს.

ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრის მრჩეველმა გიორგი მშვენიერაძემ განაცხადა.

„სასჯელაღსრულების ახალი მინისტრისთვის უწმინდესის ინიციატივა დღეს გახდა ცნობილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებისმიერი ინიციატივა ჩვენთვის ძალიან საინტერესო და გასათვალისწინებელია, მათ შორის, აღნიშნული საკითხიც. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის შესწავლა, მოკვლევა და გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მივიღებთ”, - განაცხადა მშვენიერაძემ.

შეგახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს განცხადებით, ის დიდი ხანია, ციხეებში ციხის მოძღვრის დანიშვნას ითხოვს, თუმცა ეს საკითხი დადებითად დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

ზაზა კედელაშვილი: „მუშახელის სხვა რაიონებიდან დასაქმებას არ დავუშვებთ“

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების დროს მუშახელის სხვა რაიონებიდან ჩამოყვანას არ დავუშვებთ. პირველ რიგში ადგილობრივები უნდა დასაქმდნენ,“ - ეს განცხადება ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზაზა კედელაშვილმა ქალაქ დედოფლისწყაროში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩის მაცხოვრებლებთან შეხვედრისას გააკეთა. მისი თქმით, პრიორიტეტი კვლავაც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა იქნება.

კანდიდატი სოლომონ დოდაშვილის, გომელაურის, ჯავახიშვილის და ჰერეთის ქუჩის მაცხოვრებლებს შეხვდა და მმართველი გუნდის სამოქმედო გეგმები გააცნო.

მისი თქმით, უკვე გამოცხადებულია ტენდერი და სულ მალე, ხელისუფლება ამ უბნების დარჩენილი ნაწილის გზის მოასფალტებასაც გეგმავს. რამდენიმე კვირის წინ ჯავახიშვილისა და გომელაურის ქუჩების ასფალტსაფარის ძირეული განახლება მოხდა.

„მხარდაჭერას თუნდაც იმიტომ ვგეგმავთ, რომ 24 საათის მანძილზე წყალი გვაქვს. ძალიან ვწვალობდით და აღარ ვიცოდით ბალონებით საიდან მოგვეზიდა წყალი, ახლა კი საკუთარ ეზოებში გვაქვს, ეს კი დიდი შეღავათია. ელექტროენერგიის მიწოდებაც გაუმჯობესდა,“ - აცხადებდნენ ადგილობრივები.

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დედოფლისწყაროში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა

წვეთოვანი რწყვის დემონსტრირება სოფელ ფიროსმანში

დედამიწაზე კლიმატის ცვლილებას ყველა კონტინენტზე შეუქცევადი პროცესები მოჰყვა. ბუნებრივმა კატაკლიზმებმა მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. როგორ შევხვდეთ კლიმატის გლობალურ ცვლილებებს და როგორ ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი საფრთხეები? ეს კითხვები იქცა მსოფლიო საზოგადოების და გარემოსდაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების სააზროვნო და სამოქმედო პრიორიტეტებად. იგივე გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველო,რომელსაც ამ საკითხებზე ზრუნვა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ცვლილების ფონზე უწევს და უფრო მეტი საფრთხეების და სერიოზული პრობლემების დაძლევა უხდება. გამონაკლისი არც კახეთია, ამ პროცესებმა, განსაკუთრებული მდებარეობის და გამოკვთილად ცხელი და მშრალი კლიმატის გამო, უამრავი თავსატეხი გაუჩინა დედოფლისწყაროს მოსახლეობას, როგორც ეკონომიკური, ასევე, სამეურნეო თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო წარმატებული თანამშრომლობა გარემოს დაცვის სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის და გარემოსდაცვითი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან. (GIZ,REC, CENN, Mersi corpy)

2009 წლიდან, CENN (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REK) ერთად,ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს რეგიონულ პროექტს - „მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში.“ აღნიშნულ პროექტში, სამიზნე ტერიტორიების რანგში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოთხი სოფელი: საბათლო, ფიროსმანი, სამთაწყარო და ქვემო ქედია ჩართული. სამიზნე სოფლების ფერმერებმა, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან ერთად, გაიარეს სატრენინგო კურსები კლიმატის ცვლილების ფონზე, მიწის რესურსების მდგრადი მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე. განხორციელდა სასკოლო პროგრამა-ჩატარდა კონკურსები და საგანმანათლებლო გაკვეთილები, ფერმერებს დაურიგდათ სატრენინგო მასალები და წიგნები კლიმატის ცვლილების ფონზე სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების ჩატარების თანამედროვე ტექნოლოგიების და პრევენციული ღონისძიებების გატარების თემატიკაზე. მალე დასრულდება სოფელ ფიროსმანში განხორციელებადი საპილოტე პროექტი „თესლბრუნვის პრაქტიკისა და წვეთოვანი რწყვის სისტემის დანერგვა სახნავი მიწების დეგრადაციის პრევენციისა და შერბილების მიზნით“.

საპილოტე პროექტის დაწყებამდე მოეწყო შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. შეხვედრის მონაწილეებს პროექტის ეროვნულმა კოორდინატორმა ნინო თევზაძემ და ექსპერტმა კობა კობალაძემ, მოკლედ გააცნეს პროექტის მიზნები და დაგეგმილი საქმიანობები. საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა, საკრებულოს და გამგეობის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე და პროექტის მხარდასაჭერად მზადყოფნა გამოხატეს.

პროექტის კოორდინატორები, ექსპერტთან და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთად,სოფელ ფიროსმანში პროექტში მონაწილე ფერმერებს, შეხვდნენ დაპროექტის დეტალებზე ისაუბრეს, დაათვალიერეს წვეთოვანი სისტემის მოსაწყობად შესარჩევი საკარმიდამო ნაკვეთები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება,საჭირო პარამეტრების გათვალისწინებით, თავად ფერმერებს მიანდეს,რომლებმაც გაიარეს კონსულტაციები ბატონ კობა კობალაძესთან და შეარჩიეს ყველაზე გაყიდვადი ბოსტნეული და მრავალწლიანი კულტურები. მათ გადაეცათ,ასევე, სატრენინგო მასალები. უკვე ორი თვეა მიმდინარეობს საპილოტე პროექტით დაგეგმილი სამუშაოები, რომელსაც კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია „ დედოფლისწყაროს რეგისტრირებული კავშირი - „აგრარული და გარემოსდაცვითი ასოციაცია“ ახორციელებს. ასოციაციის თავმჯდომარემ გელა თეთრაულმა, სოფელ ფიროსმანში, ყველაზე აქტიური ფერმერების საინიციატივო ჯგუფის ბაზაზე, „სოფლის აღორძინების ასოციაცია“ ჩამოაყალიბა. აქაურებს გაუმართლათ,რომ სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ოთარ ხოზრევანიძემ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად,თავის დროზე იზრუნა იმისთვის, რომ ამ სოფელში წყლის რესურსების მობილიზება მომხდარიყო.

ლევან ბაღაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

- ამ სოფელში, მაღალმთიანი აჭარიდან 80 - იან წლებში ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. მათ ძირითად საარსებო წყაროს საოჯახო მეურნეობები და მცირე საკარმიდამო ნაკვეთები შეადგენს. გასულ წლებში მევენახეობითაც ირჩენდნენ თავს, მოგვიანებით კი, როცა ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემა მწყობრიდან გამოვიდა, ვენახები გადახმა და აქ მცხოვრებ ოჯახებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. გაჩნდა სასმელი წყლის დეფიციტიც. მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობამ „სოფლის დახმარების პროგრამა“ შემოგვთავაზა, შევძელით უწყლოობის პრობლემის გადაჭრა. თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გამოვყავით. ახლა სოფელი სამი ჭაბურღილიდან მარაგდება სასმელი წყლით და სრულად აკმაყოფილებს აქაური მოსახლეობის მოთხოვნებს. სწორედ ამ რესურსის შექმნამ შეუწყო ხელი ფიროსმანში წვეთოვანი სარწყავი სისტემის სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას. დედოფლისწყარო სასმელი და სარწყავი წყლის რესურსის დეფიციტს განიცდის, ასეთ შემთხვევაში, ყველაზე ეფექტური სწორედ წვეთოვანი სარწყავი სისტემაა და ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ამ პროექტის ხელმძღვანელების და ექსპერტების მიმართ, რომლებიც ასწავლიან ჩვენს მოსახლეობას, გვალვის და წყლის დეფიციტის პირობებში, როგორ მოიყვანონ ბოსტნეული, თუნდაც სხვა კულტურები და შეინახონ ოჯახები, ასევე, შექმნან ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ადგილობრივი ბაზრისთვის. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ახალი, საინტერესო და ხალხისთვის სასარგებლო პროექტების მხარდასაჭერად.”

ანა ბენაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, პროექტის კოორდინატორი:

- პროექტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ასოციაციის წევრებთან,მათ დაურიგდათ სატრენინგო მასალა და ექსპერტთან ერთად შეირჩა სამიზნე ბოსტნეული კულტურები. მთავარი აქცენტი გაკეთდა პომიდორზე. რეკომენდაციების დონეზე ჩატარდა სწავლება თესლბრუნვის საკითხებზე;

ფიროსმანელ ფერმერთა თეორიული და პრაქტიკული სწავლების დემონსტრირებისთვის, შეძენილ იქნა სხვადასხვა მოწყობილობები: წვეთოვანი რწყვის სისტემის 3 კომპლექტი, მოტობლოკი(მინი სათიბელა), შესაყელი ხელსაწყო, სათბურის ფირი, ბიოპრეპარატები და სხვა. პროექტის კონსულტანტების კობა კობალაძის, გივი ბოგველის და მალხაზ ბაბუნაშვილის მიერ, ფერმერთა თეორიული და პრაქტიკული სწავლების დემონსტრირებისთვის, ჩატარდა თემატური ტრენინგები. ჩატარდა,ასევე, პრაქტიკული სწავლების დემონსტრირება მცირე საკარმიდამო ფერმერულ მეურნეობაში, სადაც ასოციაციის წევრების გარდა,სოფლის მცხოვრებლებიც ესწრებოდნენ. წვეთოვანი სისტემის მოწყობა მოხდა ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ, ყველა ფერმერის მონაწილეობით, პრაქტიკულად გამოიცადა მოტო ბლოკი - მცირე სათიბელა და შესაყელი აპარატი. დარჩენილ ფართობზე კი, მომდევნო დღეებში, ადგილობრივმა ფერმერებმა დამოუკიდებლად გააგრძელეს მუშაობა. წვეთოვანი რწყვის სისტემა დამონტაჟდა ორ საკარმიდამო ნაკვეთში, ღია გრუნტში.

ამ პერიოდისთვის, წვეთოვანი სისტემის დამონტაჟება მიმდინარეობს სათბურშიც. სასათბურე ნაკვეთი უკვე დამუშავებულია, ექსპერტებმა კობა კობალაძემ და გივი ბოგველმა ადგილზე ჩაუტარეს სწავლება პროექტის ფარგლებში შექმნილი „სოფლის აღორძინების ასოციაციის“ წევრებს სათბურის ფირის მონტაჟის, მულჩირების ტექნოლოგიის და პომიდორის ჩითილების დარგვის პარამეტრების შესახებ. ასე, რომ ზამთრის პერიოდში ფიროსმანელებს პომიდვრის კიდევ ერთი მოსავალი ექნებათ. მთავარია, გაითვალისწინონ რჩევები და გამოიყენონ სატრენინგო მასალები ბოსტნეული კულტურების მოყვანის შესახებ.

ამ პროექტის განხორციელება ძალზე ბევრ დადებით შედეგს მოუტანს ფიროსმანელებს, რადგან ისინი, რწყვის პირობებში, ბოსტნეულის ორმაგი და სამმაგი მოსავლის მიღებას შეძლებენ იქაური თბილი კლიმატის გამო, ეს კი გაზრდის მათი ოჯახის შემოსავლებს და, შესაბამისად, ეკონომიკას. ხელს შეუწყობს, ასევე, კონკურენციის პირობებში, ადგილობრივ ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა და იაფი პროდუქტის დამკვიდრება

***

13 სექტემბერს, ბულაჩაურის მწვანე ცენტრში, პროექტის ფარგლებში ჩატარებულ რეგიონალურ შეხვედრაზე, სადაც ქართულ მხარესთან ერთად,ექსპერტების თანდასწრებით, საპილოტე პროექტების პრეზენტაცია მოახდინეს სომხურმა და აზერბაიჯანულმა მხარეებმა, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დედოფლისწყაროში, სოფელ ფიროსმანში განხორციელებულმა პროექტმა. პრეზენტაცია გააკეთა პროექტის ადგილობრივმა კოორდინატორმა ანა ბენაშვილმა, ხოლო „სოფლის აღორძინების ასოციაციის“ თავმჯდომარემ ტარიელ ფუტკარაძემ ისაუბრა წვეთოვანი სისტემის გამოყენების შედეგად გაზრდილი მოსავლიანობის შესახებ. სეზონის განმავლობაში მათ მიიღეს ნივრის სამჯერ გაზრდილი, პომიდვრის-ოთხჯერ და სიმინდის ორჯერადი მოსავალი. მიიღეს 500 ლარამდე მოგება. ასოციაციის წევრებმა, პროექტით შეძენილი მოტობლოკით გააფხვიერეს სოფლის მოსახლეობის საბოსტნე ნაკვეთები, გათიბეს 4 ჰა სათიბი, საიდანაც მიიღეს 600 პრესი. 9 ოჯახს გაუთიბეს და გაუსუფთავეს საბოსტნე ადგილები, ხუთ ოჯახს მოტობლოკით გაუფხვიერეს ნაკვეთები. პროექტით შეძენილი შესაწამლი აპარატებით შეიწამლა მრავალწლიანი ნარგავები- რეზო ზოიძის 0,75 ჰა გარგარის ბაღი და აბესალომ ფუტკარაძის 0,38 ჰა ვენახი. რაც მთავარია, პროექტმა ფიროსმანელ ფერმერებს მისცა დიდი პრაქტიკული გამოცდილება წვეთოვანი რწყვის, ნიადაგის დამუშავების და ბოსტნეული კულტურების მოყვანის ტენოლოგიების საქმეში. ფერმერები მალე, სათბურში ბოსტნეული კულტურების მოყვანის და მულჩირების ტექნოლოგიებსაც დაეუფლებიან, მომავალ წელს კი უკვე დამოუკიდებლად გააგრძელებენ საქმიანობას.

ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქ დედოფლისწყაროში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების ფასადების შეღებვა და აივნების განახლება.

მიმდინარე წელს სოფელ ზემო ქედში გაიხსნა სასწრაფო დახმარების, ხოლო სოფელ არხილოსკალოში - სახანძრო დაცვის პუნქტები.

ქალაქ დედოფლისწყაროში კეთილმოეწყო საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ეზოები და სკვერები რუსთაველის და ფიროსმანის ქუჩებზე, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე კი მიმდინარეობს შადრევნის მშენებლობა. რუსთაველის, ჰერეთის, 9 აპრილის და შირაქის ქუჩებისთვის ბანკმა „კონსტანტამ“ დაამზადა და საჩუქრად გადასცა მუნიციპალიტეტს აბრები ნუმერაციისთვის.



ქალაქ დედოფლისწყაროში აქტიურად მიმდინარეობს გზების მოასფალტება, უკვე დაიწყო დედოფლისწყაროში შემოსასვლელი, ბოდბე-გამარჯვების, სახელმწიფო მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

დედოფლისწყაროში

მალე ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობას ქალაქის ცენტრში, ყოფილი კინოთეატრის რეაბილიტირებულ შენობაში, თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზი ექნება.

ამას გარდა, თანამედროვე ტიპის სპორტული მოედანები მოეწყო ქვემო ქედში, არხილოსკალოსა და მირზაანში.

მიმდინარე წელს დაიწყო საბავშვო ბაღის შენობების განახლება სოფლებში: ხორნაბუჯში, გამარჯვებასა და არხილოსკალოში, სოფელ ფიროსმანში კი, სადაც აქამდე ბაღი არ იყო, მიმდინარეობს შენობის გარემონტება,სადაც, მალე, ფიროსმანელი ბავშვებისთვის კეთილმოწყობილი ბაღი გაიხსნება.

ეს კი საბავშვო ბაღების უკვე გარემონტებული შენობებია, შეცვლილი იერ-სახით.

ქალაქ დედოფლისწყაროს განახლებულ №2 ბაგა-ბაღში 120-ზე მეტი აღსაზრდელია, აქ მთელი ზაფხულის განმავლობაში არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი.

- მიმდინარე წელს გაიხსნა ბაგის ჯგუფი 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და აღიჭურვა სათანადო ინვენტარით.
- დაინერგა ინგლისური ენის სწავლება, რისთვისაც მოეწყო თემატური ოთახი ფერად-ილუსტრირებული თვალსაჩინოებებით.
- ბაღში დასწრების დაფიქსირებას ბავშვები თავად ახდენენ, საკუთარი ფოტოები თავიანთი ხელით გადააქვთ „სახლიდან“ - „ბაღში“.
- ერთ-ერთი განახლებული ოთახი, სადაც დამონტაჟებულია გაზის გამათბობელი, მოწყობილია სათამაშო და სასწავლო კუთხეები, შესასვლელში გამოკრულია ილუსტრირებული „დღის რეჟიმი“.
- განახლებული დარბაზი ღონისძიებებისთვის.

სოფელ ქვემო ქედში უკვე დასრულდა წყალგაყვანილობის სისტემის მშენებლობის პირველი ეტაპი, ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, სულ მოეწყობა 6 855 გრძივი მეტრის მაგისტრალი, რის შემდეგაც სასმელი წყლით დაკმაყოფილდება მოსახლეობის 80%.

41
ერთად ამოიხდინოთ ქართული ოცნება!

ალექსანდრე თამაზაშვილი: „ასეთ შესაძლებლობას, ჩემს რაიონს სიკეთე გავუკეთო, ხელიდან ვერ გავუშვებდი"...

ალექსანდრე თამაზაშვილი 1985 წლის 4 მარტს დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო.

2007-08 წლებში იყო სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანია „ტოპ ტრანს სერვისის" იურისტის ასისტენტი, ხოლო 2008-12 წლებში ამავე კომპანიის იურისტი.

ალექსანდრე თმაზაშვილი კარგად იცნობს დედოფლისწყაროს რაიონს, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს.

ალექსანდრე თამაზაშვილის მამა, თამაზ თამაზაშვილი რამდენიმე თვის წინ, „ქართული ოცნების" მხარდაჭერის გამო ხელისუფლებამ უკანონოდ დააპატიმრა. ალექსანდრე თამაზაშვილი დღეს „ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატია დედოფლისწყაროს რაიონში. ის ყველაზე ახალგაზრდა, თუმცა ყველაზე მძიმე პოლიტიკურ წნეხში გამოვლილი კანდიდატია კოალიციის რიგებიდან.

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმა ისედაც აქტიურად მინდოდა, ახლა კი უკვე ვალდებული ვარ, სამართლიანობისთვის ვიბრძოლოო, აცხადებს ალექსანდრე თამაზაშვილი და პარლამენტში დედოფლისწყაროელების ინტერესების დასაცავად ემზადება.

ალექსანდრე თამაზაშვილი: როგორც ყველა ქართველს, არც ჩვენს ოჯახს მოსწონდა ყოფა, რაშიც ჩვენი ქვეყანა იყო. ყოველთვის ცვლილებების მომხრე ვიყავით, მაგრამ არ გამოჩნდა ის ლიდერი, ვისთან ერთადაც საქართველოსთვის ბრძოლა ღირდა. ახლა საამაყო და სასიამოვნოა, ისეთი პიროვნების გვერდით დგომა რომ გვიწევს, როგორიც ბიძინა ივანიშვილია. მინდა ყველამ იცოდეს, რომ მასთან ერთად ბრძოლას ისედაც ვაპირებდი. არ მგონია, ქართველს, ვისაც ქვეყანაზე გული შესტკივა, ამ მოვლენების გვერდიდან ყურება ერჩიოს. თუმცა, რომ არა მამაჩემის დაპატიმრება, ალბათ, ახლაც ჩემი რაიონის შტაბის ერთ-ერთი აქტიური წევრი ვიქნებოდი.

– შემოთავაზება როგორ მიიღეთ მაჟორიტარობის კანდიდატობასთან დაკავშირებით?

– ბიძინა ივანიშვილს პირადად დედოფლისწყაროში შევხვდი, როცა რაიონის შტაბის უფროსად წარმადგინა. მაშინ ცოტა მძიმე სიტუაცია იყო - დედოფლისწყაროში ისეთი კანდიდატი არ ჩანდა, რომელსაც ხალხი გაყვებოდა. რა თქმა უნდა, დედოფლისწყაროშიც შიში დიდი იყო, შესაბამისად, არჩევანი ჩემზე შეჩერდა. ალბათ, იმის მაგალითი ვიყავი, როგორ არ უნდა გატყდეს განსაცდელის ჟამს ადამიანი. იმის მიუხედავად, რომ ოჯახის წევრი დაუპატიმრეს. შემდეგ შტაბის მუშაობაში ჩავერთე და ჩვენი რაიონი საკმაოდ აქტიურიც გახდა. ჩემი სიძე, ირაკლი ღარიბაშვილი მოიაზრებოდა დედოფლისწყაროში მაჟორიტარობის კანდიდატად. თუმცა, რიგი მიზეზების გამო გადაწყდა, რომ კანდიდატიც მე უნდა ვყოფილიყავი. ოღონდ არა იმიტომ, რომ მამაჩემის შვილი ვარ! ასე რომ ყოფილიყო, პარტიულ სიაში ისეთ ადგილას ჩამსვავდნენ, რომ პარლამენტში გავეყვანე. ვინც ასე ფიქრობს, მინდა გადავარწმუნო, რადგან ზუსტად ისე ვიბრძვი, როგორც ყველა სხვა კანდიდატი.

– და რით ამტკიცებთ, რომ ასე არ არის, როგორ ცდილობთ ამომრჩევლის, მთელი საზოგადოების გადარწმუნებას, რომლის ყურადღების ცენტრშიც დიდი ხანია მოექეცით?

– ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ამ შემოთავაზებას დავთანხმდი ისაა, რომ გვერდით ჩემი სიძე, ირაკლი ღარიბაშვილი მიდგას. ძლიან დიდია თავად ბატონი ბიძინას ფაქტორიც, რომელმაც თქვა, შენს გვერდით ვართ და საშუალება გეძლევა, შენი რაიონის წარმატებული მაჟორიტარი იყოო. ასეთ შესაძლებლობას, ჩემს რაიონს სიკეთე გავუკეთო, ხელიდან ვერ გავუშვებდი. ვერც იმ შანსს დავთმობდი, ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელი ვყოფილიყავი, რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა და სერიოზულ ძალას მაძლევს.

– როგორ მიდის საარჩევნო კამპანია დედოფლისწყაროში?

– აქაც, კამპანია ხალხის დაშინების რეჟიმში ტარდება, რაშიც მთელი სახელმწიფო აპარატია ჩართული. სხვათა შორის, ჩემს რაიონში არასოდეს არაფერი გაკეთებულა. ხელისუფლებამ დედოფლისწყაროს ჩიხი შეარქვა. ამ რაიონის იქით მაინც აღარაფერიაო და წლების მანძილზე აქ თითი თითზე არ დაუდვია, ისე მიატოვა 23 000-ზე მეტი ამომრჩეველი. მხოლოდ ახლა გვაღირსეს ერთი შადრევანი და შენობების ფასადი შეღებეს. რეალურად, აქაც იგივე გააკეთეს, რაც მთელ ქვეყანაში - ჭრელად შეღებილ ამ შენობებში მშიერი ადამიანები ცხოვრობენ!

– თქვენი კონკურენტი სპორტსმენი ზაზა კედელაშვილია. საკუთარ შანსებს როგორ აფასებთ?

– კედელაშვილს პიროვნულად არ ვიცნობ, თუმცა, ცხადია, ვიცი, რომ წარმატებული სპორტსმენია, წარმოშობით ზემო ქედიდან. იცით, მე მას წარმატებული სპორტული კარიერის გაგრძელებას ვუსურვებ, ოღონდ, არა - პოლიტიკურის. დარწმუნებული ვარ, ზაზა მომავალშიც კარგი ძიუდოისტი იქნება და მე, როგორც ხელისუფლების უმრავლესობით მოსული ძალის წევრი და დედოფლისწყაროს მაჟორიტარი, რაიონს სპორტის განვითარებაში დავეხმარები. ყველა ნიჭიერ სპორტსმენს კი წავახალისებ! ღიად უნდა ვთქვათ, აქ საქმე პიროვნებებში არაა. ეს არ არის ალექსანდრე თამაზაშვილისა და ზაზა კედელაშვილის ბრძოლა. პირველ რიგში, ბრძოლა სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის მიდის. „ნაციონალების" კანდიდატები, ძალიანაც რომ სურდეთ. ვერაფერს გააკეთებენ მათი ხელისუფლების ხელში! ჩემს კონკურენტს ის სახელიც დაეკარგება, რაც მშობლიურ სოფელში აქვს. რადგან, ამ რეჟიმის პირობებში რაიონისთვის შვებისა და სიკეთის მოტანა არ შეუძლია.

მე ბატონმა ივანიშვილმა გამომიცხადა ნდობა, ჩემს კონკურენტს - სააკაშვილმა. აი, აქაა არჩევანი გასაკეთებელი: მე ხალხს იმ სიკეთეს ვპირდები, რის გაკეთებასაც ბიძინა ივანიშვილი გეგმავს, ამ 8 წლის მანძილზე სააკაშვილის ნაკეთები „სიკეთე" კი ყველას ნანახი აქვს.

– ხელისუფლების განსაკუთრებული ოპონენტი ხართ - იმ კლიპებზე, გამონათქვამებსა და შავ პიარზე, რასაც მამათქვენს უგორებენ და თქვენს წინააღმდეგ იყენებენ, თავად როგორ რეაგირებთ?

– ეს ყველაფერი მაძლიერებს! ძნელია, როცა საკუთარ მამაზე ამდენ სიბინძურეს უყურებ. ამ დროს, ვიცი, სინამდვილეში რას აკეთებდა, რამდენჯერ აქვს სხვისთვის თავი დადებული, რამდენი რამ გაწირა იმ საქმისთვის, რასაც ემსახურებოდა...

ამდენი სიბინძურისა და ტყუილის ტირაჟირება ბრძოლის მუხტს მიძლიერებს. მართალი გითხრათ, დაღამებისთანავე გათენებას ველოდები, რომ ისევ ჩემს ხალხთან გავიდე და სამართლიან საქართველოში ცხოვრების იმედი მივცე! დედოფლისწყაროელები 1 ოქტომბერს, ჩემთან ერთად, მომავლის იმედს აირჩევენ. ერთსაც გეტყვით ამ შავ პიართან დაკავშირებით - ცოტა ხნის წინ მამასთან მქონდა შეხვედრა და როცა ამ კლიპებზე ვისაუბრეთ, მეხუმრა კიდეც, ეს ხელისუფლება იმდენსაც ვერ ხვდება, უფასო სარეკლამო მომსახურებას რომ გიწევსო.

– მას მერე, რაც პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღეთ, თამაზ თამაზაშვილის მდგომარეობა საპატიმროში ხომ არ შეცვლილა?

– ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ზეწოლა დაიწყო. მამაჩემი თვითონ ისეთი პიროვნებაა, არ შეიძლება, მის წინააღმდეგ თუნდაც ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელი განეწყოს. მისი თანამდებობა მხოლოდ სახელი და გვარი არასდროს ყოფილა. მაშინაც, როცა თანამდებობა აღარ ჰქონდა, კაცად და ფიგურად დარჩა!

– საინტერესოა, თავად ხალხს რა დამოკიდებულება აქვს, და ამდენი დაშინების მერე, შეხვედრებზე მაინც თუ აქტიურობენ?

– პირდაპირ ვიტყვი, თავიდან გარეთ გამოსვლას უამრავი ადამიანი ვერ ბედავდა. არც იმას დაგიმალავთ, რომ მათ შორის მამაჩემის მეგობრები, ჩვენი ოჯახის ახლობლებიც იყვნენ. ამ კლიპებისა და კამპანიის შემდეგ კი ვეღარ მოითმინეს მოვლენებისთვის თვალის ჩრდილიდან დევნება და რამდენიმე ათეული ადამიანი თავიდან ბოლომდე გვერდით დამიდგა. ჩემთან მოვიდნენ და ზუსტად ასე მითხრეს - აღარ შეგვიძლია ამდენი უსამართლობის მოთმენა და ერთად ვიბრძოლოთო.

ის, რაც ხელისუფლებას ჰქონდა ჩაფიქრებული, არ გამოვიდა! პირიქით, ამ ანტიპიარმა საზოგადოებაში უკურეაქცია გამოიწვია. ამას თითოეულ შეხვედრაზე ვგრძნობ. როგორც კი მხედავენ,მაშინვე მამაჩემზე იწყებენ საუბარს და მისდამი მხარდაჭერას გამოხატავენ. რთულია ჩემთვის ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, თამაზ თამაზაშვილს თავის რაიონში ძალიან დიდი სახელი აქვს!

თავიდან, როცა დედოფლისწყაროში პირველად ჩავედი, მარტო ვიყავი. ჩემი ოჯახის წევრები თბილისში იყვნენ. რამაც გამაძლებინა ის იყო, რომ დაბინდების მერე, ჩემს სახლთან მადლიერი ხალხის რიგი დგებოდა - ადამიანები მოდიოდნენ, მადლობას მიხდიდნენ და ჩემთვის უცნობ ისტორიებს მიყვებოდნენ მამაჩემზე. მაგალითად, მამაშენმა სიცოცხლეს გადამარჩინა, ან დედა დამიმარხაო. ეს ყველაფერი მაძლიერებდა და ახლაც მაძლიერებს. იმედი მაქვს, ეს ხალხი, პირველ რიგში, ხმას ბატონ ბიძინას, კოალიცია „ქართულ ოცნებას" და მამაჩემის თავისუფლებას მისცემს!

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ლია ჩოქური: "ბრძენია ჩვენი მოსახლეობა და იმედი მაქვს, სწორ არჩევანს გააკეთებს"...

ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობის დედოფლისწყაროს მჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი - ***ლია ჩოქური*** *დაიბადა 1961 წლის 28 სექტემბერს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ- საგანმანათლებლო სასწავლებელში. მუშაობდა სოფლების: ზემო ქედისა და ქვემო ქედის საბავშვო ბაღებში მუსიკის მასწავლებლად. შემდეგ, 1983 წლიდან მუშაობა განაგრძო სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად. ამავე პერიოდში ჩამოაყალიბა ხალხური მუსიკის ახალგაზრდული ჯგუფი, ის ამ პერიოდს ყველაზე ნაყოფიერს და საინტერესოს უწოდებს. 1984 წელს დაოჯახების გამო საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა. 1986 წელს დედოფლისწყაროში დალის მთლის კაშხლის მშენებლობის დაწყებისას ლია ჩოქური ავტოსატრანსპორტო საწარმოს კადრების განყოფილების უფროსად დაინიშნა, სადაც 1986- 91 წლამდე მუშაობდა. საწარმო მოსკოვის დაფინანსებით დაპროექტდა.*



1992 წელს ჩააბარა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის ღია ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში - იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე. იქვე გაიარა პრაქტიკა, თუმცა ამ სფეროში არ უმუშავია. 2000 წლიდან კვლავ დედოფლისწყაროში დაბრუნდა.

ლია ჩოქური: – 2000 წლიდან, მას შემდეგ, რაც ისევ მშობლიურ დედოფლისწყაროში დავბრუნდი საცხოვრებლად, აქტიურად ვიყავი ჩართული საარჩევნო პროცესებში. ფაქტობრივად ყველა ეტაპი გავიარე, რომ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თვმჯდომარეობამდე მიმეღწია. ვმუშაობდი საოლქო კომისიაშიც, აგიტატორადაც, შემდეგ ცალკეული პარტიების ოფის- მენეჯერად, აღმასრულებელ მდივნად და ა.შ.

ამჯერად კი, უკვე ორი წელია, ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობის დედოფლისწყაროს ორგანიზაციაში ვარ. მთელ ჩემს ოჯახს ამ პარტიის მუშაობაში დაარსების დღიდან თავისი წვლილი აქვს შეტანილი. მას შემდეგ, რაც ადგილობრივ ხელმძღვანელს ია ჯანაშვილს ქვეყნის დატოვება მოუხდა,პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება მე დამეკისრა. მოხარული ვარ, რომ ია ჯანაშვილმა ამხელა ნდობა გამომიცხადა. ის ღიად აცხადებდა, რომ ბოლომდე მენდობა, პარტიისთვის სარგებლის მოტანას შევძლებდი და თავს არ დავზოგავდი. აქ გაწევრიანების მიზეზი ის გახლდათ, რომ გიორგი თარგამაძე გადაცემა „დროებიდან" მოყოლებული ძალიან მიყვარს და მის შესაძლებლობებს დიდ პატივს ვცემ.

- ქალბატონო ლია, მანდილოსნისათვის რამდენად რთულია ამხელა ტვირთისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, მით უფრო ასეთ დაძაბულ წინასაარჩევნო პერიოდში?

- გულწრფელად გითხრათ, ქალისთვის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაბმა ნამდვილად ძალიან მძიმე და შრომატევადი საქმეა. მითუმეტეს,რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის რანგში. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ძალზე ენერგიულად ვარ... გულწრფელი რომ ვიყო, პირდაპირ ვიტყვი, რომ პირადად მე ამ ტვირთისა და პასუხისმგებლობის საკუთარი მხრებით ზიდვა არ გამჭირვებია. ამ დრომდე დაღლილობა არ მიგრძვნია, შემართება სჭარბობს ჩემში. მითუმეტეს, სასიამოვნო და სახალისო ხდება მუშაობის პროცესი, თუკი შენს გვერდით სანდო ადამიანებით დაკომპლექტებული ძლიერი გუნდი დგას და გუნდურად მუშაობ. იმ შემთხვევაში, როდესაც ურთიერთგაგება და ერთმანეთის აზრის პატივისცემა არის, შედეგიც წარმატებული იქნება. მთავარი კი სწორედ ეს გახლავთ. ასეთ დროს სირთულეს ველარ გრძნობ და მეტი შემართებით მუშაობ.

- რას შეცვლიდით დედოფლისწყაროში, ბერკეტი რომ გქონდეთ?

- მიწების საურავებმა გლეხი განსაკუთრებით წელში გადატეხა. ტექნიკა და საწვავი არ არის ხელმისაწვდომი. ეს საკითხები გადახედვას მოითხოვს. პირად მაგალითზეც გეტყვით, რომ არ გაამართლა „პიონერის" ჯიშის სათესლე ხორბალმა.

- რამდენად თანაბარ გარემოში მიმდინარეობდა თქვენი წინასაარჩევნო კამპანია, რაიმე სახის ზეწოლებს, ან დარღვევებს თუ ჰქონდა ადგილი?

- ჩვენდა გასაკვირად უნდა ვთქვა, რომ ხელის შეშლა და ზეწოლები ნამდვილად არ ყოფილა. ბუნებრივია, წინააღმდეგობებს ველოდი, თუმცა, კამპანიამ მშვიდად ჩაიარა. წვრილ-წვრილი ფაქტები ნამდვილად ფიქსირდებოდა, მაგრამ სერიოზულ ზეწოლებს, ან ხელის შეშლის შემთხვევებს დედოფლისწყაროში ჩვენი პარტიის მისამართით ადგილი არ ჰქონია. ვერ გეტყვით, ეს რისგან იყო გამოწვეული. არ ეცალათ ჩვენთვის და ძალიან დაკავებულები იყვნენ, თუ რამ გამოიწვია, ძნელი სათქმელია.

- ქდმ დედოფლისწყაროში თავდაპირველად თქვენი მეუღლის ვაჟა პოპიაშვილის კანდიდატურის წარდგენას გეგმავდა, რატომ შეიცვალა კანდიდატურა?

- არასოდეს მქონია ამბიცია, რომ კანდიდატი ვყოფილიყავი. სიმართლე გითხრათ, არ ვიყავი მზად ამისთვის. ვინც ჩვენ გვინდოდა და ვინც რაიონის მოსახლეობამ შემოგვთავაზა, მან გადაწყვიტა, რომ კენჭი აღარ ეყარა. შემდეგ ჩვენმა ლიდერებმა თბილისიდან მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. ჩემს თავზე არც ვფიქრობდი, თუმცა, მოულოდნელად, პარტიამ არჩევანი ჩემზე გააკეთა...

- ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში შეძელით ჩასვლა? რა ვითარებაშია დედოფლისწყაროს სოფლები და იქ მცხოვრები ადამიანები?

- კი, საბედნიეროდ, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ყველა სოფელი კარდაკარ მოვიარეთ, ყველა სოფლის მცხოვრების ყოფას ადგილზე გავეცანით. ახლახან დავასრულეთ შეხვედრები სამთაწყაროსა და საბათლოში. ამ სოფლებში კიდევ ერთი სტუმრობის შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე პირდაპირ უნდა ითქვას, სამწუხაროა, რომ სოფელ საბათლოში მისასვლელი გზა საშინლად რთულ მდგომარეობაშია. ძალიან დამქანცველია ამ გზაზე მგზავრობა. ადგილობრივები ამ გზის პრობლემის მოგვარებას, უკვე წლებია, ითხოვენ, თუმცა ამაოდ...

ხალხი ძალიან იმედგაცრუებულია, არავისი იმედი აღარ აქვს... საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებნი გულისწყრომას გამოხატავენ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკოსები მათთან უკვე წინასაარჩევნო პერიოდშიც აღარ ჩადიან... აქამდე თუ არჩევნებიდან არჩევნებამდე აღარავინ გვსტუმრობდა, ახლა აღარც საარჩევნო პერიოდში მოდის ვინმეო - გულწრფელად შემოგვჩივლეს ამ სოფლების მაცხოვრებლებმა. პედაგოგები ღიად ამბობენ, ამ ბავშვების სიყვარული გვაკავებს სოფელში, თორემ ისეთ აუტანელ პირობებში ვცხოვრობთ, არ ღირს აქ დარჩენაო... ბავშვებს ვერ ვღალატობთ, თორემ გაუსაძლისი ყოფა გვაქვსო. სასკოლო სახელმძღვანელოების მომარაგებაზეც პრობლემები ექმნებათ. ასევე, მიწის ნაკვეთების უქონლობაზე სერიოზულად წუხან. მოსახლეობა მიწების დაბრუნებას ითხოვს, თუმცა, მათი არავის ესმის... ამ პერიოდში, კიდევ ერთხელ, დაწვრილებით გავეცანი ყველა სოფლის პრობლემას, გული მწყდება, რომ სოფლად ყოველი მეორე სახლის კარი დაკეტილია და ადგილობრივები ლუკმა პურის საშოვნელად სხვაგან არიან გადახვეწილნი.

- ამ ფონზე, რას სთავაზობს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და მისი კანდიდატი ლია ჩოქური ხალხს?

- მოგეხსენებათ, ჩვენი პარტია მომავალი თაობის უკეთეს განათლებასა და ღირსეულ სიბერეზე აკეთებს აქცენტს, მშობლებს კი დასაქმებას სთავაზობს. ეს გახლავთ „ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობის" პრიორიტეტი და ძირითადი სლოგანი.

ჩვენი პარტიის საარჩევნო პროგრამის მიხედვით, ვგეგმავთ ასაკობრივი პენსიების ზრდას: 2014 წელს იქნება 200 ლარი, 2015 წელს - 220 ლარი, 2016 წელს - 240 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობის პირების, მარჩენალდაკარგულების, ობლების პენსიების ასაკობრივ პენსიასთან გათანაბრებას; ასევე, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებას და საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას;

უმუშევრის სტატუსის განსაზღვრას და შესაბამისი შემწეობის შემოღებას; ენერგომატარებლებზე ტარიფების შემცირებას; ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერების პენსიების გადაანგარიშებას; შიდა ვალების გასტუმრებას - კოოპერატიული ბინათმშენებლობების პროგრამა, 1998-2004 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების გასტუმრება, რეპრესირებული პენსიონერების და წარმოებით დაზარალებულთა კომპენსაციის გაცემა.

საქართველოში სამუშაო ძალა 2 მილიონამდე ადამიანით განისაზღვრება, აქედან, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ 650 ათასამდეა, მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყანაში თვითდასაქმებულია და მხოლოდ 300 ათასი კაცი ითვლება უმუშევრად. ჩვენ არ ვეთანხმებით ამგვარ ფორმულირებას, რადგან მიგვაჩნია, რომ მილიონი თვითდასაქმებულიდან უმრავლესობა რეალურად უმუშევარია. ჩვენი სოფლის მეურნეობის კონცეფცია გულისხმობს წვრილი საგლეხო მეურნეობიდან მსხვილ ფერმერულ მეურნეობაზე გადასვლას. სახელმწიფო წაახალისებს კოოპერაციებს, შედეგად, მილიონი თვითდასაქმებულიდან 2017 წლამდე ყოველწლიურად 100 000 ადამიანი დაემატება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობას.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის გადამწყვეტია სწორი სატარიფო პოლიტიკა. ენერგომატარებლებზე, ელექტროენერგიაზე და გაზზე ტარიფების შემცირება თავისთავად ნიშნავს საქართველოში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ქართულსავე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას. პროდუქციის თვითღირებულების 5-8%-ით შემცირების შემთხვევაში, უახლოეს 3-4 წლიწადში გააორმაგებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და, დამატებით, ყოველწლიურად 50 000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად ცნობილია თქვენი კანდიდატურა დედოფლისწყაროელი ამომრჩევლისთვის?

- წარმოშობით ქედების ზონიდან ვარ, იქ საკმაოდ დიდი საახლობლო მყავს, მამაჩემს და ბიძაჩემს კარგად იცნობენ. სიმართლე გითხრათ, ჩვენს პარტიას უფრო მეტი ცნობადობა აქვს, ვიდრე უშუალოდ ჩემს კანდიდატურას, თუმცა გვყავს ჩვენი ელექტორატი. ვფიქრობ, რომ ჩვენს უკან საკმაო ძალა დგას. მიმაჩნია, რომ პარტიისა და ჩემი ერთობლივი ძალებით მეტს მივაღწევთ. კონკრეტულად რა შედეგი დაიდება, ახლა ძნელი სათქმელია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქდმ- ს დედოფლისწყაროში ყოველთვის გამოკვეთილად ჰყავდა თავისი მხარდამჭერი. ეს თვითმმართველობის არჩევნებმაც დაადასტურა. ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობა ერთადერთი ოპოზიციური პარტია არის, რომელმაც მიღებული შედეგების მიხედვით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავისი დეპუტატი გაიყვანა.

დღესაც პოლიტიკური ვითარება ძალზე დაძაბულია, ჩვენს გუნდს კი ნეიტრალური პოზიცია აქვს. მჯერა, რომ ვერ მოხდება არჩევნების გაყალბება. ძალიან ბრძენია ჩვენი მოსახლეობა და დროა, ყველამ მოიკრიბოს გონიერება და ერთხელ მაინც დადგეს იმ ლიდერების მხარეს, ვინც ნორმალურ ლიდერად მიაჩნია.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ხალხური შემოქმედება ქეთევან დედოფალს

26 სექტემბერს ქეთევანობის დღესასწაული აღინიშნა. წმინდანი დედოფლის ხსოვნას მიუძღვნა ეს ლექსი ერთმა ჩვეულებრივმა მშრომელმა კაცმა, რომელსაც თავისი ქვეყანა უზომოდ უყვარს, ეამაყება მისი ისტორია და გულზე აწერია მისი რწმენა.

თქვენ, ქეთევან დედოფალო,
ვარსკვლავეთში დახატულო,
ჩვენი რჯული რომ არ დაგმე
სათაყვანოვ, სასახელოვ,
ალექსანდრე, ლევანიზე
გულმოკლულო, დაღალულო,
თერთმეტი წლის ტყვეობაში
ნაწამებო დედოფალო.
თქვენ, წმინდანად შერაცხულო,
უწმინდესო ქნართა ქნარო,
თქვენი ლოცვით და ღაღადით
გადაგვირჩა საქართველო!
მკერდი შანთით დგიდაღეს,
მაინც ლოცულობდი, ქალო,
საქართველოს გადარჩენას
აკვდრებდი უფალსაო.
დიდი მადლი იმ დიდ ბერებს,
ვინაც გიგალობდა გულში,
საფლავიდან მოგიპარეს
და გზა მოგცეს მსოფლიოში.

მრავალი ქვეყნის ტაძარში
ბინა დადე საკანეში,
ზაგორსკის ერთ-ერთ ტაძარში
ოქროს ტახტში ჩაბრძანდები.
თავის ქალა შვილს გადასცეს
მეფეს ბოდმა ჰკლავდა გულში,
ერთხელ არაგვს მინარბენი
ცხენი წაბორძიკდა წყალში,
თავის ქალა წყალმა შთანთქა
საქართველოს მიწა-წყალში,
თერთმეტი წლის ტყვეობიდან
მიწამ ჩაგიხუტა გულში.
მართლაც დიდი წმინდანი ხარ
საქართველოს სიყვარულში,
უკვდავი ხარ, დედოფალო,
ჩვენი ქვეყნის ვარსკვლავეთში.

სახალხო მთქმელი
დურმიშხან ჭილიტაშვილი.
სოფელი ზემო მაჩხაანი.

ულოცავენ!

მარინა ხარაშვილს!

ძვირფასო მარინა, გილოცავთ ღირსების მედალს და იუბილეს! ვთვლით, რომ მთავრობის უმაღლესი ჯილდო შენ დამსახურებულად მიიღე, მართლაც ღირსეული ადამიანი და შესანიშნავი ექიმი ბრძანდებით, პედიატრი, რომლისთვისაც ბავშვების სიყვარული და ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგულება ყოველთვის იყო მთელი საქმიანობის და ცხოვრების განმსაზღვრელი.

შპს „ადითი“ დედოფლისწყაროს სტაციონარის სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები.

ნანა ჭიჭინაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს ოჯახთან ერთად. სულ ასეთი ენერგიით და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე გვენახეთ!

ილია ჭავჭავაძის მწიგნობართა ასოციაციის წევრები

მონატრება

გოგიტა და ზაზა კუსრაშვილები

მადლიანი, სიკეთით სავსე ბიჭები იყავით. კაცური ბუნებით გამორჩეოდით. სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეხვდით. თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდით, რომელი წინ გაიკვლევდით სიკვდილის გზას, რომ ძმისთვის სამუდამო სასუფევლისკენ სავალი გზა გაგეადვილებინათ.

ჯერ–უფროსი, შემდეგ კი–უმცროსი. ასე ინება ღმერთმა. დედას კი სანუგეშებლად და საზრუნავად შუათანა ქალიშვილი და ობლადდარჩენილი შვილიშვილი დაუტოვა. ღმერთმა გვიბოძა სიცოცხლე და მისი ნებაა, თუ როდის დავტოვებთ ამ წუთისოფელს. ჩვენ კი ისიც გვანუგეშებს, რომ უფალმა თვისთან ერთს ბზობის დღეს უხმო, მეორეს–ამაღლებისთვის. უფლის განაჩენის წინაშე ქედის მოხრა გვიბრუნებს წონასწორობას. ღვთის ძალას დაემორილა დედა, რომელმაც თვენახევარში ორი შვილუი მიაბარა მიწას.

ჩემო ზაზა, თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან.შენ იცოდი გოგიტას უკურნებელი სენის შესახებ.ღმერთს მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ვავედრებდით, უცებ კი შენ გამოგვეცალე ხელიდან. საფლავთან შენმა ძმამ შემოგვფიცა: „შენს ლანას არაფერს გავუჭირვებ, თუ ცოცხალი დავრჩიო.“

ყოველთვის სიტყვის კაცო, ჩემო გოგიტა, რატომ ვერ შეასრულე პირობა, შვილო! შენც ხომ გამოცდილი გქონდა ობლობა. რატომ მოუკალ ლანას მეორედ გული? რატომ გაეცალე ხელიდან საფიცარი „გოგა ძია“?

შარშან, 30 სექტემბერს, ჩემო გოგიტა, შნმა ოჯახმა დაბადების დღე გადაგიხადა (ვგრძნობდით, რომ უკანასკნელად ვზეიმობდით) ზაზამ მეგობრები დაგიპატიჟა. მუხლი არ ჩაუხრია, ისე გემსახურა და გაგილამაზა ის დღე. ვაი, რომ წელს, 30 სექტემბერს უთქვენოდ ვხვდებით. არ გვეღირსა, წელსაც გვეზეიმა და გოგიტასთვის ოთხი ათეული წელი მიგველოცა.

ჩემო ბიჭებო, ვამაყობ თქვენი კაცური სახელით, რომელიც ამქვეყნად დატოვეთ.ჩვენ ღმერთს შევავედრებთ თქვენს სულებს, არ მოგაკლებთ ლოცვას და სანთელ-საკმეველს, რომ იმქვეყნად იპოვოთ სულის სალხინებელი.

გვჯერა, ეს დროებითი განშორებაა და ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით, როცა ღმერთი ინებებს.

თქვენი დეიდა
მზია ლეკაშვილი

პელო (პეპელა) მოსულიშვილ – ჭილიტაშვილი

ჩვენო პეპელა, 25 სექტემბერს ორმოცი დღე გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან მარადიულ სოფელში გადაინაცვლე. ორმოცი დღე ლოცულობდნენ და სანთელ- საკმეველს არ აკლებდნენ შენს სულს შენი შვილები - ვასიკო და ნათია და შენი შვილიშვილები. ასე იქნება მომავალშიც. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ უფალი სასუფეველს დაგიმკვიდრებს, რადგან მთელი სიცოცხლე იყავი სიკეთით სავსე და უბოროტო, პატიოსანი და ერთგული ადამიანი, გიყვარდა შენი ოჯახი, ახლობლები, მეზობლები. თავგადედებული იყავ შენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. ამიტომ დაგვწყვიტა გული ყველას შენმა გარდაცვალებამ. ორმოცი დღე შესრულდა და ყველამ თავი მოვიყარეთ შენს საფლავთან, დაგინთეთ წმინდა სანთლები, ყვავილებით შევამკეთ შენი სამუდამო განსასვენებელი და მოგიგონეთ როგორც ერთი ალალ-მართალი ქალი, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს შორის, სიკეთეს და სიყვარულს თესდა და სამაგიეროდაც პატივისცემას იმკიდა. ნათელში იყოს შენი სული, პეპელა, განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ახლობლები და მეზობლები.

სოფელი მირზაანი.

ხმის მიცემის წესი

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობაც).

დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე საარჩევნო ბიულეტენის გაცემა. კენჭისყრის ოთახში შესვლამდე, სპეციალური ხელსაწყოთი შეგიმოწმებენ აღგენიშნებათ თუ არა ხელის თითზე მარკირება.

თუ არ აღგენიშნებათ, თქვენ გეძლევათ უფლება მიიღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა. თუ გამოვლინდა რომ უკვე ხართ მარკირებული, აგეკრძალებათ კენჭისყრაში მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში თქვენს წინააღმდეგ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

მარკირების შემოწმების პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ მიდიხართ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის პირველი ასო და რეგისტრატორს წარუდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს).

რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში თვალით უხილავი სითხით გაგიკეთებთ მარკირებას. რის შემდეგაც რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში თქვენს პირად ნომერს შეიტანს. თქვენ გადმოგეცემათ ორი სახის საარჩევნო ბიულეტენი: ერთი პროპორციული და ერთი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის არჩევნებისთვის. თბილისში დამატებით მესამე - მერის არჩევნებისათვის.

საარჩევნო ბიულეტენების მიღებას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურებთ. საარჩევნო ბიულეტენების გაცემისას რეგისტრატორმა ხელი უნდა მოაწეროს ბიულეტენების უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და დაუსვას სპეციალური ბეჭედი; ამის შემდეგ თქვენ შედიხართ ფარული კენჭისყრის კაბინაში და გააკეთებთ თქვენს არჩევანს ბიულეტენში სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით. დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა ფარული კენჭისყრის კაბინაში.

ბიულეტენი ისე უნდა დაკეცოთ რომ არ ჩანდეს ვის მიეცით ხმა; დაკეცილი ბიულეტენით მიდიხართ განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებთ სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებთ ბიულეტენებს. აღნიშნულ კონვერტს ათავსებთ საარჩევნო ყუთში, სადაც ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება. კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების მერე თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ საარჩევნო უბანი.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ ბიულეტენების დამოუკიდებლად შევსება, უფლება გაქვთ, დახმარებისთვის მიმართოთ ნებისმიერ სხვა, თქვენთვის სასურველ პირს, გარდა კომისიის წევრებისა. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კანდიდატისა და დამკვირვებლებისა. თუ საარჩევნო ბიულეტენი გაგიფუჭდათ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ კომისიის თავმჯდომარეს, რომლის დავალებით, რეგისტ რატორი ვალდებულია, შეგიცვალოთ გაფუჭებული ბიულეტენი ახლით.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობისას შეგიძლიათ არჩევანი გააკეთოთ გადასატანი ყუთის მეშვეობით.

გახსოვდეთ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის წარდგენის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობა აკრძალულია;
- სხვის ნაცვლად ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერა, ბიულეტენების მიღება და ხმის მიცემა დაუშვებელია;
- არავის აქვს უფლება თქვენი თხოვნის გარეშე იმყოფებოდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან თქვენს ნაცვლად შეავსოს ბიულეტენები;
- მხოლოდ თქვენ გაქვთ უფლება საარჩევნო ბიულეტენები მოათავსოთ სპეციალურ კონვერტში, დაუშვებელია საარჩევნო კომისიის წევრის მიერ შევსებული საარჩევნო ბიულეტენების გახსნა ან კენჭისყრის ფარულობის სხვაგვარი დარღვევა;
- კენჭისყრა ფარულია; ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა;
- საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორმა თქვენს თვალწინ უნდა მოაწეროს ხელი და დაუსვას ბეჭედი. თუ ბიულეტენზე არ აღმოჩნდება ბეჭედი და ხელმოწერა, ასეთი ბიულეტენი ბათილად გამოცხადდება და თქვენი ხმა არ იქნება გათვალისწინებული შედეგების შეჯამებისას;
- კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შემდეგ, თქვენ არ შეგიძლიათ იმავე ან სხვა საარჩევნო უბანში ხელახლა მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.
- აკრძალულია საარჩევნო ბიულეტენის და კონვერტის საარჩევნო უბნიდან გატანა
- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს თქვენი ნების თავისუფალ გამოვლენას.

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 29. 09	კვირა 30. 09	ორშაბათი 01. 10	სამშაბათი 02. 10	ოთხშაბათი 03. 10	ხუთშაბათი 04. 10	პარასკევი 05. 10
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
21 ° 15 °	18 ° 15 °	18 ° 16 °	18 ° 17 °	18 ° 16 °	17 ° 15 °	16 ° 14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნინარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ. პ. ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K